



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:  
2022 წლის 15-16 სექტემბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
14.11.2022

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სამოქალაქო ინჟინერია Civil Engineering
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში Bachelor of Science in Civil Engineering
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	ახალი

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დონდოლაძე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
--	--

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

	საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ტაბატაძე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა მჭედლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საერთაშორისო მოთხოვნებიდან და ათასწლეულის პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დაიგეგმა ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ შემუშავება. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, პროგრამა, წარდგენილ იქნას ABET-ის ექსპერტების შეფასებისთვის, შემდგომი მისი

მომზადებისთვის საერთაშორისო ABET აკრედიტაციისთვის. ABET კომიტეტის მიერ მიღებული რჩევების, აგრეთვე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის და სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად, შემუშავდა პროგრამა და სასწავლო კურსები. ეს დოკუმენტაცია წარედგინა ფაკულტეტის საბჭოს (2022

წლის 18 აპრილის სხდომის ოქმი № 01-05-04/35) და სტუს აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამა წარდგენილ იქნას აკრედიტაციისთვის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში მომზადებული

სტუდენტები მაღალკონკურენტულნი იქნებიან საერთაშორისო შრომის ბაზარზე. საბოლოო ჯამში, ეს

ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთი ფაქტორი გახდება. პროგრამის დაგეგმვა ხორციელდებოდა ბაზრის კვლევების, დამსაქმებლებთან, დარგის სპეციალისტებთან, მუდმივი კომუნიკაციის საფუძველზე. პროგრამა შესაბამისობაშია ABET აკრედიტაციის მოთხოვნებთან, რომელიც საინჟინრო დარგის საბაკალავრო საფეხურის პროგრამებში ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო სასწავლო კურსების კრედიტების გაზრდას, საბაკალავრო პროექტის, როგორც აუცილებელი კომპონენტის განხორციელებას, რომელიც მეტ ცოდნას და უნარ-ჩვევებს შესძენს კურსდამთავრებულებს მომავალი დამოუკიდებელი მუშაობისთვის. საბაკალავრო პროექტი ხორციელდება სწავლების მე-4 წელს, ის სავალდებულო სასწავლო კურსის სახით არის შეთავაზებული. სილაბუსებში შეტანილი ლიტერატურული წყაროები ხელს შეუწყობს სტუდენტებს გაეცნონ სამოქალაქო ინჟინერიის მულტიდისციპლინარული და სწრაფად განვითარებად დარგის უახლეს მიღწევებს და მოიპოვონ შესაბამისი ცოდნა აღნიშნული სპეციალობით.

ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ ფარგლებში „მეცნიერების ბაკალავრი სამოქალაქო ინჟინერიაში“ აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მოიცავს 240 კრედიტს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის შესაბამისი დონით. პროგრამა შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის (ECTS) მიხედვით, 1 კრედიტი 25 საათს უდრის და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება არანაკლებ 4 წლით (8 სემესტრი), სემესტრი მოიცავს 20 კვირას. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 15 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების) და 5 – სასესიო (შუასემესტრული, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების).

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო კომპონენტებს - ჯამში - 200 კრედიტს (მათ შორის წინასაპროექტო პრაქტიკას - 4 კრედიტი და საბაკალავრო პროექტს 7 კრედიტის მოცულობით), ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სავალდებულო არჩევით კომპონენტებს - ჯამში 35 კრედიტს და თავისუფალ კომპონენტებს - 5 კრედიტის მოცულობით.

#### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 17 ივლისის MES 2 22 0000810806 ბრძანებით 2022 წლის 15 - 16 სექტემბერს შედგა ვიზიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე წინამოსამზადებელ შეხვედრაზე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა გაუზიარეს ერთმანეთს ძირითადი კითხვები და ზოგადი მიგნებები.

ქვეყანაში არსებული COVID-19 პანდემიიდან გამომდინარე, პროგრამის შეფასება განხორციელდა ნაწილობრივ დისტანციურად. კერძოდ, 15 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა სტუ-ში ვიზიტის ფარგლებში, დაათვალიერეს დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი (სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, ასევე ცენტრალური და ფაკულტეტის ბიბლიოთეკა), ხოლო 16 სექტემბერს ვიზიტი შედგა კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ, ონლაინპლატფორმა Zoom-ის გამოყენებით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობის დროს ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს. შედგა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრა. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა უზრუნველყვეს კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების წარდგენა. შეხვედრა შედგა კოლეგიალურ და კეთილგანწყობილ გარემოში.

#### დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შეჯამება

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტზე მოგვაწოდა არგუმენტირებული პოზიცია და გარკვეული ცვლილებების

ანგარიში იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომელთაც ეთანხმება. რეკომენდაციების ნაწილზე, რომელთაც დაწესებულება არ ეთანხმება, მოკლედ წარმოგიდგენთ ექსპერტთა ჯგუფის არგუმენტირებულ პოზიციას. კერძოდ:

#### **4.1. (ადამიანური რესურსი) სტანდარტთან დაკავშირებით**

**4.1.1.** მიზანშეწონილია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვების სქემის დოკუმენტის წარმოდგენა;

**უნივერსიტეტის პოზიცია:** მიგვაჩნია, რომ სტუ - ში მოქმედი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად, სავალდებულოა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის არსებობდეს აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის სქემა, რაც ყველა მოქმედ პროგრამას გააჩნია და მათი განახლება ხდება ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე. ვინაიდან, ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“ არის ახალი, აკრედიტებულ რეჟიმში მყოფი პროგრამა, ამიტომ სტუდენტთა მიღება პროგრამაზე ჯერ ვერ გამოცხადდება, ხოლო აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვების სქემის შესამუშავებლად აუცილებელია ჩარიცხული კონტინგენტის რაოდენობის განსაზღვრა, მოცემულ ეტაპზე აღნიშნული სქემის შემუშავება ვერ მოხერხდება. როგორც კი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხება სტუდენტთა გარკვეული 1. 2. 3. 4. 5. 6. 7. 8. 9. 10. რაოდენობა, მოხდება ჯგუფების ფორმირება და შესაბამისი საათობრივი დატვირთვის გათვალისწინება აკადემიური პერსონალის საათობრივ დატვირთვაში.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** ექსპერტთა ჯგუფმა გადახედა წარმოდგენილ რეკომენდაციას და მიიჩნია, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტი მისაღებია და ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით ზემოთმოყვანილი რეკომენდაცია ამოღებულია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან.

**4.1.2.** უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში, სტანდარტი 4-ის, 4.1 თავის მტკიცებულებაში მითითებული დოკუმენტი: „სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია“ არ არის წარმოდგენილი უსდ-ის მიერ მოწოდებულ დოკუმენტებს შორის. რეკომენდირებულია შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენა.

**უნივერსიტეტის პოზიცია:** რეკომენდაციის შესაბამისად დანართი 1 - ის სახით წარმოგიდგენთ აღნიშნულ დოკუმენტს.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** უნივერსიტეტმა გაიზიარა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაცია და დამატებითი მტკიცებულების სახით წარმოადგინა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია (დანართი 1). ამის გათვალისწინებით ექსპერტთა ჯგუფმა გადაწყვიტა აღნიშნული რეკომენდაცია ამოიღოს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნიდან.

### 4.3. (მატერიალური რესურსი) სტანდარტთან დაკავშირებით

**4.3.1.** რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში;

**უნივერსიტეტის პოზიცია:** აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელმა შესაძენი სახელმძღვანელოების ნუსხა გადასცა სტუ-ს შესაბამის სამსახურს, გარკვეული მათგანის შეძენა უკვე განხორციელდა, ხოლო დანარჩენის შეძენა მოხდება ეტაპობრივად, სასწავლო პროცესის დაწყებამდე. დანართი 2 - ის სახით გიგზავნით შესყიდული სახელმძღვანელოების ინვოისს და ასევე შესაძენად გადაცემული სავალდებულო ლიტერატურის ნუსხას.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტი განმარტავს, რომ ვიზიტის შემდეგ განახორციელა 4 სახელმძღვანელოს შესყიდვა და აღნიშნავს, რომ ეს პრაქტიკა ასევე გაგრძელდება მომავალშიც. რადგან აღნიშნული სცდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდს, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

**4.3.2.** რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე;

**უნივერსიტეტის პოზიცია:** უნივერსიტეტი განმარტავს, რომ სტუ-ს ვებ სივრცე ნამდვილად უზრუნველყოფს მრავალფეროვან სამეცნიერო ბაზებთან წვდომის შესაძლებლობას. იხ ლინკი: [https://gtu.ge/Library/Monacemtha\\_bazebi/saert-mon-baz.php](https://gtu.ge/Library/Monacemtha_bazebi/saert-mon-baz.php); Science Direct, Scopus, HEINONLINE, CAMBRIDGE UNIVERSITY PRESS, THE ROYAL SOCIETY, SAGE Journals, Institution of MECHANICAL ENGINEERING, EDWARD ELGAR, DUKE UNIVERSITY PRESS, Openedition Journals, Mathematical Sciences Publishers, Bio One, European Respiratory Journal, IMF Elibrary. ამათგან Science Direct , Scopus, HEINONLINE ბაზებთან წვდომა შესაძლებელია უნივერსიტეტს მიღმა ნებისმიერი სივრციდან, ხოლო დანარჩენზე წვდომა შესაძლებელია მხოლოდ უნივერსიტეტის ფარგლებში.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, ისინი უზრუნველყოფენ წვდომას სამ სამეცნიერო ბაზაზე, აქედან ერთი არის სამართლის მიმართულებით, მეორე მხოლოდ ბიბლიომეტრული ანალიზისთვის გამოიყენება. იმისთვის რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა შეუფერხებლად ისარგებლონ სამეცნიერო ბაზებით აუცილებელია მოკლე გზამკვლელებისა და ინსტრუქციების განთავსება და ასევე, უნივერსიტეტის მიღმა წვდომის უზრუნველყოფა. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

**4.3.3.** რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

**უნივერსიტეტის პოზიცია:** სტუ-ს ბიბლიოთეკა აქტიურად ატარებს ტრენინგებს ინფორმაციის მოძიების, სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის და სხვა შესაბამის საკითხებზე. ტრენინგების გრაფიკის და თემატიკის განთავსება ხდება ვებ-გვერდზე და დასწრება შეუძლიათ როგორც სტუ-ს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტრენინგები ინტენსიურად ტარდება, თუ სტუდენტს ან აკადემიურ პერსონალს არ შეუძლია დაესწროს ტრენინგებს, მათ აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალური კონსულტაცია ნებისმიერ ზემოაღნიშნულ საკითხზე მიიღონ ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლებისაგან. დანართი 3 - ის სახით გიგზავნით ოქტომბერ-ნოემბრის თვეში დაგეგმილ სტუ-ს ბიბლიოთეკის ტრენინგების განრიგს და ასევე 18.10.2022 ში ჩატარებული ტრენინგის დასწრების ფურცელს, რომელსაც ესწრებოდა სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკარი ქალბატონი ნანა კობიძე.

**ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** აღნიშნულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგენა პოზიცია, რომ ტრენინგები ტარდება წინასწარ განსაზღვრული სიხშირით უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტისთვის, თუმცა ექსპერტთა რეკომენდაცია შეეხებოდა კონკრეტულად სამშენებლო ფაკულტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მომზადებულ ტრენინგებს, ვორქშოპებს, რაც საშუალებას მისცემს როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიურ პერსონალს უკეთ დაგეგმოს სასწავლო პროცესი. ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია რჩება უცვლელი.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა “სამოქალაქო ინჟინერია“, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

#### **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.1. პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6.სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.1.სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2.მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - არ ფასდება;

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

4.1.ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2.აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3.მატერიალური რესურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;.

▪ **რეკომენდაციები**

4.3. (მატერიალური რესურსი) სტანდარტთან დაკავშირებით

1. რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში;
2. რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე;
3. რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

5.3. (პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება) სტანდარტთან დაკავშირებით

1. სასურველია პროგრამის გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტზე ყოველთვის იყოს დატანილი შესრულების თარიღი.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**



- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის - „სამოქალაქო ინჟინერია“ მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ საგანმანათლებლო პროგრამით მიღებული ცოდნით და შესაბამისი უნარებით უპასუხონ დარგის უახლეს გამოწვევებს კომპეტენციის ფარგლებში. პროგრამის მიზნები ლოგიკურად და ნათლადაა ჩამოყალიბებული, კერძოდ, პროგრამის მიზანია

მიზანი 1: საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მათემატიკის ფუნდამენტური თეზისების გამოყენებით, შეასწავლოს კურსდამთავრებულებს სამოქალაქო ინჟინერიის პროექტების მართვის, დარგში საინჟინრო პრობლემების იდენტიფიცირების და გადაჭრის თანამედროვე მიდგომები, უახლესი ტექნიკური საშუალებები და ტექნოლოგიები.

მიზანი 2: სამოქალაქო ინჟინერიის ფუნდამენტური მეცნიერული საკითხების გააზრებით, აღზარდოს პრაქტიკოსი და ინოვაციური ინჟინრები, რომლებიც სათანადო თეორიული ცოდნის და პროფესიული კომპეტენტურობების გამოყენებით შეძლებენ მონაწილეობა მიიღონ და საკუთარი წვლილი შეიტანონ სამოქალაქო ინჟინერიის სფეროს სოციალური, ტექნიკური და ბიზნეს გამოწვევების დაძლევაში.

მიზანი 3: შეუქმნას კურსდამთავრებულებს სამოქალაქო ინჟინერიის სფეროში სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის მყარი საფუძველი. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად

ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამის მიზანი შეესაბამება სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სამშენებლო ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;

გათვალისწინებულია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები. კერძოდ, 2015 წელს გაფორმდა ხელშეკრულება კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურვეო საბჭოს სახელით, სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს (SDSU) სან - დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევით ფონდსა (SDSURF) და სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის. ხელშეკრულების ერთ-ერთი შეთანხმების თანახმად SDSU და SDSURF გამოთქვამენ მზაობას სტუ-ს-თან ურთიერთთანამშრომლობით, შეიმუშავენ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომლებიც დააკმაყოფილებენ ამერიკაში უმაღლესი განათლების სტანდარტს და ორიენტირებული იქნებიან საქართველოში STEM - ისა და მასთან დაკავშირებული სხვა დისციპლინების განვითარებაზე.

2015 წლიდან დღემდე, საერთაშორისო ურთიერთობათა და სტანდარტების სამსახურის უშუალო ჩართულობითა და კოორდინირებით, ასევე, მის მიერ გაწეული სათანადო კონსულტაციებით სტუ-ში განხორციელდა Erasmus+ პირველი აქტივობის (ინდივიდუალური სასწავლო მობილობა) ფარგლებში კრედიტების დაგროვებით საერთაშორისო მობილობა 51 უნივერსიტეტში. მათ შორის, უცხოეთის შემდეგ ქვეყნებთან და უნივერსიტეტთან: პოლონეთი, იტალია, გერმანია, თურქეთი, ლიტვა, ესპანეთი და სხვა. ზემოაღნიშნული პროექტების ფარგლებში განხორციელდა მობილობები როგორც უცხოეთის კოორდინატორ უნივერსიტეტებში (223 სტუდენტი, 137 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი) ასევე უცხოეთის უნივერსიტეტებიდან სტუ-ში (13 სტუდენტი, 87 აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალი) (დანართი 9).

აკადემიურ პერსონალს საშუალება ეძლევა, ასწავლოს და ჩაატაროს ლექციები პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ტრენინგის მიზნით: აღნიშნული აქტივობის მიზანია უნივერსიტეტის თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა პარტნიორ უნივერსიტეტში, ტრენინგის (კონფერენციების გარდა) ან სამუშაოზე დაკვირვების (job shadowing) შესაძლებლობების შექმნით.

ზემოხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში ამერიკელ პარტნიორებთან თანამშრომლობით, მათი მხარდაჭერით და მაქსიმალური ჩართულობით სტუ-ში სამშენებლო ფაკულტეტზე შემუშავდა ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია სან-დიეგოს უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერია“ ანალოგი პროგრამის სახით რომელსაც მინიჭებული აქვს ABET - ის (Accreditation Board for Engineering and Technology) აკრედიტაცია. ზემოხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე, სან-დიეგოს უნივერსიტეტის და ABET - ის საერთაშორისო ექსპერტების მხარდაჭერით დაგეგმილია რომ სტუ-ს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამამ „სამოქალაქო ინჟინერია“ მოიპოვოს როგორც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ასევე ABET - ის აკრედიტაცია.

თანდართულ მასალებში მოცემულია შპს „ფორსის“, შპს „gwp“ და სანდიეგოს უნივერსიტეტების გამოხმაურებები, საიდანაც ირკვევა რომ პროგრამა შექმნილია შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისად. ამ კვალიფიკაციის მქონე ბაკალავრიატის

სპეციალისტებს ფართო ცოდნა ექნებათ სამოქალაქო სფეროში ინჟინერია, რომელიც მოიცავს საინჟინრო, თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გაგებას; შეძლებს ექსპერიმენტის დაგეგმვას, ჩატარებას, მიღებული მონაცემების ანალიზს, ინტერპრეტაციას და ეფექტურად კომუნიკაციას წინასწარ განსაზღვრული სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად; ისინი გამოთქვამენ მზადდონას დაასაქმონ სტუ-ს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, რადგან დამსაქმებლები თვლიან, რომ კურსდამთავრებულები აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

გარდა ამისა სამშენებლო ფაკულტეტი თანამშრომლობს „ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან“, რომელიც აერთიანებს სამშენებლო დარგის 50 - მდე უმსხვილეს კომპანიას, 2019 წლის 21 მარტს ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს მოეწერა ხელი.

მემორანდუმის მიზანია, როგორც განათლების განმახორციელებელსა და კერძო სექტორს შორის, ურთიერთთანამშრომლობის განვითარება და მხარეთა ძალისხმევით, შრომის ბაზრის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა. სწორედ ამ ასოციაციის მხარდაჭერით განხორციელდა ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ სწავლის შედეგების შეფასება და ანალიზი.

პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო კურსები და მათი ლოგიკური თანმიმდევრობა, სრულად უზრუნველყოს ასეთი სამოქალაქო ინჟინერიის სპეციალისტის განვითარება, როგორც ეს განსაზღვრულია საერთაშორისო სტანდარტებით და მოთხოვნით საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

თანდართულ მასალებში ასევე წარმოდგენილია შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი და საქართველოს შრომის ბაზრის კვლევა, რომლის მიზანი იყო შეეფასებინა რა სახის კადრზე იქნება მოთხოვნა დამსაქმებლების მხრიდან. პროგნოზის მიხედვით ახალი სამუშაო ადგილების მატებას ვარაუდობენ სამშენებლო სფეროშიც, ამასთან მშენებლობის სფეროში დასაქმების ზრდის მაჩვენებელი საერთო საშუალოზე მაღალია.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. ჩამოყალიბებულია პროგრამის მიზნების და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რაც ნათელყოფს, რომ პროგრამის თითოეული მიზანი მიიღწევა საგანმანათლებლო პროგრამის კონკრეტული სწავლის შედეგების ერთობლიობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“ ;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისია;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2018-2024 წწ; [http://gtu.ge/pdf/Strategic\\_Plan\\_for\\_Development\\_of\\_gtu\\_2018-2024.pdf](http://gtu.ge/pdf/Strategic_Plan_for_Development_of_gtu_2018-2024.pdf)
- სამშენებლო ფაკულტეტის დებულება;
- სამშენებლო ფაკულტეტის ვებგვერდი <http://construction.gtu.ge/> ;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნის ანალიზი;
- დამსაქმებელთა გამოხმაურებები;
- ანალოგი პროგრამა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან [https://catalog.sdsu.edu/preview\\_program.php?catoid=5&poid=4031&returnto=404](https://catalog.sdsu.edu/preview_program.php?catoid=5&poid=4031&returnto=404);
- სტუ - ს აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის და პროექტებში ჩართულობის შესაძლებლობები;

<ul style="list-style-type: none"> <li>• ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის „სამოქალაქო ინჟინერიის“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას.</p> <p>ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, ამასთან, შეესაბამება კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მთლიანობაში სასწავლო კურსები თანმიმდევრულია და</p>

უზრუნველყოფს საბოლოო შედეგზე გასვლას.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, რომელიც ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს და საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიღწევადია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

პროგრამის შემუშავების და მოდიფიცირებასთან დაკავშირებული თითოეული საკითხის შეთანხმება და გადაწყვეტა ხორციელდება დეპარტამენტის/ფაკულტეტის საბჭოს და აკადემიური საბჭოს მიერ. სასწავლო პროცესის და პროგრამის სწავლების ხარისხის პერიოდულ შეფასებას ახორციელებს ასევე საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის აკადემიური პერსონალი და სტუდენტი.

ექსპერტთა ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის შექმნის პროცესში აკადემიურ პირებთან ერთად ჩართულები იყვნენ სტუდენტები, კურსდამთავრებულები, და დამსაქმებლები. მათთან თანამშრომლობით გამოვლინდა საქმიანობის კვალიფიკაციასთან შესაბამისობა და ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი მისაღწევი სწავლის შედეგები. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის საფუძველზე, დადგინდა ამ მიმართულებით რა ცოდნა და უნარებია პრიორიტეტული დასაქმებისათვის.

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება;

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს;

პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისათვის; ხდება სწავლის შედეგების შეფასების შედეგების მონიტორინგი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება.

სამშენებლო ფაკულტეტზე მოქმედი ყველა კითხვარი მოცემულია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <https://construction.gtu.ge/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98/>, სადაც გამოკითხვაში მონაწილეობენ როგორც სტუდენტები, ისე კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. გამოკითხვები ანონიმურია და მისი შედეგების ანალიზი გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზისათვის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „სამოქალაქო ინჟინერია“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედეგანაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა. დანართი 12;
- ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

#### **რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b>
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<b>შეფასება</b>
<ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<b>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
<b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b>
საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის მასალებიდან, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში საექსპერტო

ჯგუფის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან შეხვედრის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრიატის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას; კერძოდ, სამოქალაქო ინჟინერიის ბაკალავრიატის ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა რეგულირდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის ინსტრუქციის და პროგრამით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია და იგი შემდეგნაირად ფორმულირდება:

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საქართველოს მოქალაქეები ჩაირიცხებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

საერთაშორისო აპლიკანტები ჩაირიცხებიან საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2011 წლის 29 დეკემბრის № 224/N ბრძანების შესაბამისად.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. ინგლისური ენის ცოდნის დასადასტურებლად აპლიკანტმა უნდა წარადგინოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი:

ა) ოფიციალური საერთაშორისო სერთიფიკატი: TOEFL, IELTS, Cambridge ESOL (English for Speakers of Other Languages), TELC (The European Language Certificates), Michigan (Cambridge Michigan);

ბ) ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი საშუალო სკოლიდან, კოლეჯიდან ან უნივერსიტეტიდან, რომელიც ადასტურებს, რომ აპლიკანტის სწავლება ხორციელდებოდა ინგლისურ ენაზე;

გ) სერტიფიკატი, რომელსაც გასცემს ადგილობრივი ან საერთაშორისო ინგლისური ენის სწავლების პროვაიდერი, რომელიც ადასტურებს, რომ ინგლისური ენის B2 დონის მიღწევა მოხდა აპლიკანტის მიერ შესაბამისი კურსის გავლით.

დ) აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს, ვალდებულია ინგლისური ენის B2-დონეზე ფლობის დამადასტურებელი ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში.

აღსანიშნავია ის, რომ ინგლისური ენის მოთხოვნა შეიძლება მოიხსნას, თუ აპლიკანტისთვის ინგლისური არის მშობლიური ენა ან თუ მან დაამთავრა საშუალო სკოლა/უნივერსიტეტი იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისური ოფიციალური ენაა და აპლიკანტი შესაბამისად სწავლობდა ინგლისურ ენაზე.



პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა სამართლიანი, გამჭვირვალე და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციაა.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგებიდან და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, კომპეტენტური, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის, რაც დასტურდება მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობით, ასევე მათ მიერ განხორციელებული გამოყენებითი და სამეცნიერო კვლევითი პროექტებით, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო მასშტაბის პროექტებსაც. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. მათ მიერ შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა, ასევე მათი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსითა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ინსტრუქციებითა და დამსაქმებლის სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.

წარმოდგენილ დოკუმენტებში მოცემულია დეტალური ინფორმაცია აკადემიური პერსონალის შესახებ, მათი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების თანხლებით, მაგრამ არ არის წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვების გადანაწილება.

ასევე, მტკიცებულებებით წარმოდგენილია დოკუმენტი, კერძოდ: „სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია“, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი არ იძებნება გადმოგზავნილ მასალებში.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში.

ასევე ისინი მონაწილეობას ღებულობენ გამოკითხვებში, რომელთა კითხვარები მოთავსებულია უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ვებ გვერდზე ელექტრონულ მისამართზე: <https://construction.gtu.ge/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98>. ასევე მოყვანილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის სტატისტიკური ანალიზი. კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეფასება, ბიბლიოთეკის შეფასება, სასწავლო/სამუშაო გარემოს შეფასება, უსაფრთხოების და ჯანმრთელობის უზრუნველყოფის შეფასება, ხარისხის უზრუნველყოფის შეფასება: ეთიკისა და

კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის შეფასება, პერსონალის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვის შეფასება, უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლების პრინციპების შეფასება, საუნივერსიტეტო პოლიტიკის შეფასება, სასწავლო პროცესის სხვადასხვა ასპექტებით კმაყოფილების დონის შეფასება, უნივერსიტეტის/ ფაკულტეტის მართვის სტილის შეფასება. გამოკითხვები ანონიმურია და მისი შედეგების ანალიზი გამოიყენება სწავლის შედეგების მიღწევის ანალიზისათვის და საჭიროების შემთხვევაში პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენციათა ფლობის უმაღლესი დონე. იგი მონაწილეობს პროგრამის შემუშავებაში, პროგრამის შეფასება-განვითარებასა და განხორციელებაში. ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, მათ შორის სტუდენტების კონსულტირებაში.

ექსპერტთა ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგებიდან, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა და კომპეტენცია. ამას ადასტურებს მისი მრავალმხრივი გამოცდილება, როგორც აკადემიური, ასევე სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით. 2019 წელს გაიარა სტაჟირება სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ), რის შედეგადაც სან დიეგო-საქართველოს უნივერსიტეტში სარგებლობს მიწვეული პროფესორის სტატუსით. სადაც კითხულობს შემდეგ სასწავლო კურსებს: „Environmental Engineering“, “Water Treatment Engineering”, “ Wastewater Treatment Engineering” და „Solid and Hazardous Waste Engineering“. იგი უშუალოდ არის ჩართული პროგრამის განხორციელებაში და აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში, ასევე ჩართული გახლდათ პროფესიული განათლების განვითარებისათვის ხელშემწყობ საერთაშორისო პროექტებშიც.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრების შედეგად და ასევე წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან შესაბამისი რაოდენობისა და კომპეტენციის მქონე, როგორც ადმინისტრაციული, ასევე დამხმარე პერსონალით (ასისტენტებით).

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/5 ბრძანება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდება” – <http://gtu.ge/AboutStu/Thesis.php>;
- სამშენებლო ფაკულტეტის დებულება <https://goo.gl/dv3DSz>;
- კონკურსის ვადები და ჩატარების პირობები <https://gtu.ge/News/17625/>;
- განმახორციელებელი პერსონალი საგნების მიხედვით;
- სტუ-ს რექტორის 2021 წლის 24 ივნისის ბრძანება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ <https://gtu.ge/pdf/brdzanebebi/29333877.pdf>
- სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 14 მაისის # 253 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური დატვირთვების გაანგარიშებისა და განაწილების ინსტრუქცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV, კვალიფიკაციის



<p>დამადასტურებელი დოკუმენტები, სამეცნიერო ნაშრომები, შრომითი და აფილირების ხელშეკრულებები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური პერსონალის მეცნიერული მიღწევები <a href="https://my.gtu.ge/">https://my.gtu.ge/</a> ;</li> <li>• სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 8 ნოემბრის # 01-05-04/163 დადგენილება სტუ-ს;</li> <li>• საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ;</li> <li>• ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;</li> <li>• პერსონალის მიერ პროგრამის შეფასება;</li> <li>• აკადემიური პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა;</li> <li>• ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>•</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> </ul>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>როგორც ექსპერტთა ჯგუფისა და პროგრამის ხელმძღვანელთან, ასევე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან გასაუბრებიდან ირკვევა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აწარმოებს პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის შეფასებას და აქტიურად იყენებს შეფასებისა და კვლევის შედეგებს, რათა ხელი შეუწყოს თითოეულ აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს საკუთარი ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში და პროფესიულ განვითარებაში, რისთვისაც უნივერსიტეტში შექმნილია ყველა ის აუცილებელი პირობა, რომელიც საჭიროა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად. ერთის მხრივ,</p>

ის საშუალებას აძლევს ფაკულტეტის პერსონალს, სამშენებლო ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები შეიმუშაოს, მეორე მხრივ კი, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თანამშრომლების საქმიანობის რეგულარული შეფასება უზრუნველყოს.

უნდა აღინიშნოს, რომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადაიდგა ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტზე ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის საკითხში და მსოფლიოში უმსხვილესი საინჟინრო ორგანიზაციის, დიდი ბრიტანეთის „სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტის“ (ICE) ოფიციალური წარმომადგენლობა „საქართველოს სამოქალაქო ინჟინერთა საზოგადოება“ (GSCE) გაიხსნა, რომელთა მიზანია დაეხმარონ ევროპასა და მსოფლიოს გარემოს დაცვისა და მშენებლობის სრულყოფის საკითხებში, ხელს უწყობენ ევროპის მშენებლ ინჟინერთა ფორმირებას, საერთო ინტერესების გაცვლას და ზრუნვას სამშენებლო სექტორის განვითარების საქმეში. რაც საშუალებას აძლევს პროფესიონალთა გლობალურ დონეზე განხილული და გაზიარებული იქნას სამშენებლო სფეროში არსებული ნებისმიერი საკითხები, მათ შორის როგორცაა ეკოლოგიური კატასტროფა და მშენებელ ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლება.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კარიერული განვითარების და გადამზადების ცენტრი. სადაც აკადემიური პერსონალი პერიოდულად გადის ტრენინგებს შემდეგი მიმართულებით: კარიერის დაგეგმვა; სწავლისა და სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიები; სწავლის შედეგები და მათი შეფასება და სხვა.

ასევე, სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა 2019 წლის თებერვალში გაიარა კვალიფიკაციის ამაღლების კურსები სტუ-ს პროფესიული განვითარების ცენტრში. ამ ტრენინგის მასალა და სწავლების მეთოდოლოგია ეფუძნება ამერიკის აიოვას უნივერსიტეტის „სწავლასა და სწავლებაში დახელოვნების ცენტრის“ (CETL) უახლეს ტრენინგ პროგრამებს. კურსის დასრულების შემდგომ თითოეულმა მათგანმა მიიღო ამერიკულ-ქართული სერტიფიკატი.

დაწესებულება ყოველი წლის ბოლოს აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და ანალიზს. ამას ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიც. აღნიშნული პროცესის ეფექტურად წარმართვა ხორციელდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების, ასევე სტუდენტების მიერ შეფასებული კითხვარების შედეგების საფუძველზე. უსდ ახდენს აკადემიური პერსონალის სასწავლო და კვლევითი საქმიანობის შეფასებასაც.

დაწესებულება ასევე აწარმოებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების ანალიზს, კითხვარების შედეგების შეფასებით და შესაბამისად ზრუნავს მათი სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად, როგორც მატერიალური, ასევე ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფით.

დაწესებულების ორგანიზებით აკადემიურ, სამეცნიერო და მოწვეულ პერსონალს აქვს შესაძლებლობა გაიაროს ტრენინგი და აიმაღლოს ცნობიერება, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის განვითარების მიმართულებით.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები <https://my.gtu.ge/acad/>;



<ul style="list-style-type: none"> <li>• „სტუ-ის პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის № 531 დადგენილება <a href="http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shfaseba.pdf">http://gtu.ge/quality/Files/Pdf/531%20shfaseba.pdf</a>;</li> <li>• „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი“ - სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის № 450 / დადგენილება; <a href="http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf">http://gtu.ge/quality/Files/Pdf/450cesi.pdf</a>;</li> <li>• აკადემიურ, მოწვეულ პროფესორზე და მასწავლებელთა პერსონალზე სახელფასო დანამატის (ბონუსის) გაცემის წესი;</li> <li>• ფაკულტეტის ბიუჯეტი;</li> <li>• ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;</li> <li>• ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.3 მატერიალური რესურსი</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>ვიზიტის განხორციელების დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ადგილზე გადაემოწმებინა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება. დათვალიერების შემდეგ დადგინდა, რომ იმ შენობა ნაგებობას, სადაც აღნიშნული პროგრამა უნდა განხორციელდეს, სარემონტო სამუშაოები ჩაუტარდა ახლო წარსულში, კერძოდ, მოეწყო სასწავლო აუდიტორიები, სველი წერტილები, დერეფნები.</p>

ექსპერტთა ჯგუფის ბიბლიოთეკაში ვიზიტის შემდეგ გამოიკვეთა:

ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღე და მისი სამკითხველო სივრცე აღჭურვილია დამოუკიდებლად მუშაობისთვის, გააჩნია როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური შეხვედრების ოთახი, კომპიუტერული ტექნიკა, რაც ხელმისაწვდომი იქნება მოცემული პროგრამის სტუდენტებისთვის.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა ინსტიტუციას აქვს ელექტრონულ ფორმატში, რომელსაც უშუალოდ კურსის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს, ასევე, განთავსებულია CD დისკებზე და ინახება ბიბლიოთეკაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აღნიშნული პრაქტიკა არ შეესაბამება საგანამათლებლო დაწესებულებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ პრინციპებს, ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობის კუთხით, შესაბამისად, რეკომენდებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურის შესყიდვა, მინიმუმ ერთეულ ასლად.

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან ირკვევა, რომ ამჟამად წვდომა შესაძლებელია ისეთ სამეცნიერო ბაზებზე, როგორც არის - Cambridge Journals, Sage Publishing, Science Direct, Scopus, Bio One და სხვ. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რომელ კონკრეტულ სამეცნიერო ბაზებს გამოიყენებს მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები და ამ პროგრამის აკადემიური პერსონალი, საპასუხოდ დადგინდა, რომ ძირითად შემთხვევებში სტუდენტებს სამეცნიერო ლიტერატურას მათივე ხელმძღვანელები აწვდიან (სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული ინტერვიუების დროს). სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საორიენტაციო შეხვედრის დროს მათ გააცნეს საბიბლიოთეკო სერვისების ძირითადი ნაწილი, თუმცა უჭირთ გაიხსენონ ტრენინგი ან სამუშაო შეხვედრა, რომელიც კონკრეტულად სამეცნიერო ბაზების გამოყენების საკითხებს დაეთმო. ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე არ არის დეტალური ინფორმაცია სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ, შესაბამისად, სტუდენტს გაუჭირდება დამოუკიდებლად ნავიგაცია. ასევე, შეუძლებელია მოცემულ ბაზებზე უნივერსიტეტის მიღმა წვდომა. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სწავლების ენა არის ინგლისური, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ინფორმაცია/დამხმარე მასალები წარმოდგენილი იყოს ვებ-გვერდზე და ასევე, სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ დისტანციურად ისარგებლონ მოცემულ რესურსებზე. ასევე, რეკომენდირებულია საინფორმაციო სახის შეხვედრების გამართვა სტუდენტებთან, უშუალოდ სამეცნიერო ბაზების გამოყენების მიმართულებით, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათალიერეს შემდეგი ლაბორატორიები: სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპერტო ლაბორატორია; ხიდსაცდელი ლაბორატორია; ჰოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის ლაბორატორია; ჰიდრო-ინჟინერიის სასწავლო ლაბორატორია; მშენებლობისა და ნაგებობების სასწავლო ცენტრი. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ლაბორატორიებში დასაქმებულნი არიან ამავე ფაკულტეტის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დოქტორანტები. მოცემული მატერიალური რესურსი განკუთვნილია ამ პროგრამის სტუდენტებისთვისაც, შესაბამისად პრაქტიკული/ლაბორატორიული კომპონენტები გათვალისწინებულია სასწავლო კურსებში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;

- უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტი;
- ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურის მინიმუმ ერთეულ ასლად არსებობა ბიბლიოთეკაში (არა პირატული ვერსიები);
- რეკომენდირებულია ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ სამეცნიერო ბაზები ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის მიღმა და მათი გამოყენების ინსტრუქციები/გაიდლაინები განთავსებული იყოს საიტზე;
- რეკომენდირებულია ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის მიხედვით, გამოიკვეთა, რომ ფინანსური რესურსების გამოყოფა პროგრამისთვის ფაკულტეტის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული, რომლის მხოლოდ ნაწილს შეადგენს პროგრამის სტუდენტთა მიერ გადახდილი სწავლის საფასური. შესაბამისად, პროგრამის ფინანსური მდგრადობა ფაკულტეტის საერთო შემოსავლით არის უზრუნველყოფილი, რომელიც 2022 წლისთვის 3 316 840 ლარს შეადგენს.

ფაკულტეტის ბიუჯეტში გაწერილია უსდ-ის მიერ პროგრამის მხარდაჭერა. უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების პროგრამისთვის გამოყოფა

<p>ეკონომიკურად მიღწევადია;</p> <p>ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა სახელმწიფოს მიერ და უშუალოდ სტუდენტების მიერ სწავლებაში გადახდილი თანხები. აღნიშნულს ემატება ექსპერტული მომსახურებით, შეკვეთილი ტრენინგებით, სამეცნიერო გრანტებით და სხვა მსგავსი აქტივობებით მოზიდული სახსრები. ყოველწლიურად, სავარაუდო ხარჯებისა და შემოსავლების გათვალისწინებით, ფაკულტეტი დამოუკიდებლად შეიმუშავებს წლიურ ბიუჯეტს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოს.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უსდ-ის ბიუჯეტი;</li> <li>• ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზები;</li> <li>• ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, პროგრამის შემუშავებისას შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლები. ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას თანაბარი იყო ჩართულობა, როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალისა.

თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და ინტერვიუების დროს, დაწესებულების მხრიდან რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განხორციელე, შეამოწმე, განავითარე“. პროგრამასთან მიმართებაში, ინსტიტუცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის გამოკითხვას. მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, როგორც აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, ასევე, საუნივერსიტეტო სერვისების შეფასების კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ხდებოდა თუ არა სტუდენტების გამოკითხვა წიანასწარ განსაზღვრული სიხშირით, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა დაადასტურეს, რომ გარკვეული პერიოდულობით (სემესტრში ერთხელ) ავსებენ კითხვარებს და აფასებენ, როგორც სასწავლო კურსებს, ასევე, საუნივერსიტეტო სერვისებსა და აკადემიურ პერსონალს.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჭრილში პროგრამის შეფასება განხორციელდა სპეციალურად ამ მიზნისთვის შერჩეული „მრჩეველთა საბჭოს“ მიერ, ასევე, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის მართვის სამსახურის მიერ, მიღებული შედეგების გათვალისწინება მოხდა თვითშეფასების ჯგუფის თანხმობით.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- თვითშეფასების ჯგუფის სხდომის ოქმები;
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებები;
- ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

#### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)



## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროგრამა მუდმივად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს. თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია, რომ გარდა დამსაქმებლებისა, ინსტიტუციამ პროცესში, ასევე, უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ჩართულობას. ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა გადაემოწმებინა აღნიშნული მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებთან, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის შემუშავებაში მათი ჩართულობა, ძირითადად, კითხვარების შევსების გზით. როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა და ინტერვიუების დროს რამდენჯერმე გაჟღერდა, პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე გათვალისწინებული იყო ამერიკული აკრედიტაციის (ABET) მოთხოვნები და მოსამზადებელ ეტაპზე, სამჯერ განხორციელდა რეკომენდაციების გაცემა უცხოელი ექსპერტების მხრიდან. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ისინი მაქსიმალურად ითვალისწინებენ მოცემულ რეკომენდაციებს პროგრამის შემუშავებისას, რადგან 2024 წლისთვის დაგეგმილია აღნიშნული აკრედიტაციის მიღების მიზნით განაცხადის გაკეთება.

გარდა ამისა, პროგრამა გაეგზავნა ადგილობრივ ექსპერტს, კერძოდ, ბატონ ვახტანგ ბალავაძეს, სანდიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს და ასევე, ადგილობრივ დამსაქმებელს. ინტერვიუების დროს, პროგრამის ხელმძღვანელმა და ხარისხის სამსახურის თანამშრომელმა დაადასტურეს, რომ გარე შეფასებით მიღებული მოსაზრებები გათვალისწინებულია წარმოდგენილ პროგრამაში.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ABET ექსპერტთა შეფასებები;
- დარგის ექსპერტთა შეფასებები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</b></p> <p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>მოცემულ საანგარიშო პერიოდში პროგრამის თვითშეფასები ჯგუფის ინიციატივით მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა განახორციელა პროგრამის გარე შეფასება. ექსპერტის დასკვნაში განსაკუთრებული პრობლემები არ იკვეთება და მთლიანობაში დადებითად არის შეფასებული პროგრამის მუშაობა. ყურადსაღებია ერთი გარემოება - გარე ექსპერტის წერილები არ არის დათარიღებული, შესაბამისად, შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის მოხდა პროგრამის შეფასება. მნიშვნელოვანია ინსტიტუციამ უზრუნველყოს აღნიშნულის გამოსწორება მომდევნო საანგარიშო პერიოდისთვის და ყველა დოკუმენტზე დაიტანოს თარიღი.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რომელ უცხოურ ანალოგიას დადარდა მოცემული პროგრამა. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ამ პროცესში გამოყენებულ იქნა უნივერსიტეტის საერთაშორისო კონტაქტები, ასევე, ინდივიდუალურ დონეზე აკადემიური პერსონალის კონტაქტები. შესაბამისად, აღნიშნული პროგრამა მეტწილად შედარდა სანდიეგოს უნივერსიტეტის პროგრამას, აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის ნაწილმა სწორედ ამ უნივერსიტეტშია აიმაღლა კვალიფიკაცია.</p> <p>მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ადასტურებენ, რომ მომანწილეობას იღებენ გამოკითხვებში და პერიოდულად აფასებენ სასწავლო კურსებს, ასევე, საუნივერსიტეტო სერვისებსა და მატერიალურ ბაზას.</p> <p>წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ინსტიტუციაში არსებობს სასწავლო პროგრამაში ცვლილების შეტანის დადგენილი წესი. კერძოდ, ცვლილების ინიცირება შეიძლება განხორციელდეს პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ (ან სტუდენტების, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების გამოკითხვის საფუძველზე) შემდეგ წარედგინება ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს, საბოლოოდ კი აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.</p> <p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზი;</li> <li>• გარე ხარისხის შეფასების ანგარიში;</li> </ul>
---

<ul style="list-style-type: none"> <li>• თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>• ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;</li> <li>• უნივერსიტეტის ვებ-გვერდი</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b>
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია პროგრამის გარე ექსპერტის შეფასების დოკუმენტზე ყოველთვის იყოს დატანილი შესრულების თარიღი.</li> </ul>
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <ul style="list-style-type: none"> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul> </li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

### თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: **სამოქალაქო ინჟინერიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებელი პროგრამა**

დასკვნის გვერდების რაოდენობა: **41**



პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო დონდოლაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო ტაბატაძე



სახელი, გვარი, ხელმოწერა

გიგა ხოსიტაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა

ანა მჭედლიშვილი

